

5

ქართული ლიტერატურა

მოსწავლის წიგნი
ნაწილი I

ნინო გორდეჯაძე
თინათინ კუხიანიძე



გაკურს სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



შინაარსი

თავი 1.	
ბუნების სურათები	5
ნაკადული გიორგი ლეონიძე	6
ნისლები გიორგი ლეონიძე	7
თეორია. ეპითეტი და შედარება	8
ნამდვილი ამბავი (მწერლის დღიურიდან) აკაკი წერეთელი	9
თოვლი ვახუშტი კოტეტიშვილი	10
თავი 2.	
ბავშვი მოთხრობებში	11
ტომ სოიერის თავგადასავალი (ნაწყვეტები) მარკ ტვენის	12
ბიჭი და ძაღლი არჩილ სულაკაური	24
თეორია. ბიოგრაფია და ავტობიოგრაფია	45
თავი 3.	
სამშობლო	47
*** (შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო) ანა კალანდაძე	48
მეფე დემეტრე თავდადებული იაკობ გოგებაშვილი	49
ციხის სიზმარი ლადო ასათიანი	52
გიორგი ბრწყინვალე იაკობ გოგებაშვილი	54
ჰოი, სიხარულო ხალხური	56
თეორია. სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები	57
თავი 4.	
იგავის ენა	58
I. ძუნწი და ოქრო სულხან-საბა ორბელიანი	59
II. ვირი, ვეფხვი, მელა და მგელი სულხან-საბა ორბელიანი	60
III. მეფე და მჭედელი სულხან-საბა ორბელიანი	63
ძაღლი და ცხვრები (რომაული თქმულების მიხედვით) აკაკი წერეთელი	65
ღამურა აკაკი წერეთელი	67
თეორია. მოსაზრება, არგუმენტი	69
თავი 5.	
დანაშაული და სასჯელი	71
მელოტები (ალეგორიული ზღაპარი) აკაკი წერეთელი	72
მესარკე (თქმულება) აკაკი წერეთლის მიხედვით	75
გახარებული მზე (მოთხრობა) რევაზ ინანიშვილი	77
თეორია. დისკუსია	81
ლექსიკონი	82

თავი

1

ქსე



ბუნების სურათები

დღემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები...

ვაჟა-ფშაველა



აქ შეისწავლი...

- ნაკადული *გ. ლეონიძე*
- ნისლები *გ. ლეონიძე*

თეორია. ეპითეტი და შედარება

- ნამდვილი ამბავი *ა. წერეთელი*
- თოვლი *ვ. კოტეტიშვილი*

თემის შესავალი

- რა განწყობას გიქმნის ფოტო? შენი სიტყვებით აღწერე ფოტოზე მოცემული ბუნების სურათი. აღწერისას გამოიყენე ზედსართავი სახელები.
- გაიხსენე ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია ბუნების სურათი (გადმოეცი ამ აღწერის შინაარსი).
- დააკვირდი ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს. რას აღწერს ხატოვნად პოეტი?

წარმოიდგინე პოეტი, რომელიც თავისი ქვეყნის ბუნების ცქერით ტკბება დილაობით, სალამო ხანს; მის თვალს იტაცებს მთიდან მომდინარე ნაკადული და ამ ლექსს ქმნის...

ნაკადული

ნაკადული მორბოდა,
ვით ირემი ქორბუდა.
ნაკადული მოქროდა,
გადამდნარი ოქროდა.

მთვარის სხივს თუ ჩამოჰყვა,
ბროლტანა და მინარი*,
მარგალიტის ნაწვეთი,
ბროლის დანადინარი.

კოკორგახსნილ ვენახებს,
ყანებს ერქროლებოდა,
პირნათელა, მზეთვალა...
ზღვისკენ ერქარებოდა.

დალიეთ, შეიშხეფეთ
შემრგო, ტკბილი, ანკარა*;
თვისი* წმინდა გულიდან
ხალხმა აანანკარა!..

გიორგი ლეონიძე

უპასუხე შეკითხვას

- შენი აზრით, რა მსგავსების საფუძველზე შეადარა პოეტმა ნაკადული ირემს? შეარჩიე პასუხი: ა) სისწრაფის გამო; ბ) ფერის გამო.

იპოვე

- რომელი სტრიქონები შთააგონა მას დღისით, მზის ნათელში ნანახმა ნაკადულმა? იპოვე ლექსში ორი ასეთი სტრიქონი.
- როგორ გამოიხატა ლექსში ის, რომ ნაკადული მცენარეთა მაცოცხლებელია? იპოვე შესაბამისი სტრიქონები.
- ლექსის რომელი სტრიქონებია მთვარით შთაგონებული? რა უნდა იყოს ამ შთაგონების საფუძველი?
- განმარტე სიტყვები ანკარა და წანკარა ლექსიკონის დახმარებით. შეადგინე წინადადება ამ სიტყვების გამოყენებით.

იმსჯელე

- რატომ ადარებს პოეტი ნაკადულს სწორედ ბროლსა და მარგალიტს?
- ადამიანთა რა თვისების ანარეკლად, სახედ მიიჩნია პოეტმა ნაკადული? უპასუხეთ ბოლო სტრიქონების მიხედვით.

ნაიკითხე გამოთქმით

- ნაიკითხე ლექსი ისე, რომ მსმენელს კარგად გადასცე პოეტის განწყობა.



ჭიანჭველები

ნისლები

მთიდან შავხევში ნისლები,
ნეტავი, რისთვის ჩადიან?
იქნებ, წყლის ამოსატანად,
იქნებ, სხვა რამე დარდი აქვთ?

არა! მინას რომ აკოცონ,
კაცის დანახვა სწყურიათ;
ხეებს ემთხვიონ*, რიყის ქვას,
სად კაცის ნაფეხურია!

გიორგი ლეონიძე

იმსჯელე

1. რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს პოეტი ამ ლექსში?

- ა) შედარებას;
- ბ) გაპიროვნებას (გასულიერების ხერხს).

გრამატიკა

2. ა) ამონერე ლექსიდან ზედსართავი სახელები, რომელთაც პოეტი ნაკადულის აღსაწერად იყენებს;

ნიმუში: როგორი? – პირნათელა, ანკარა...

- ბ) შენი აზრით, ამათგან რომლებია უჩვეულო, ანუ თვით პოეტის მიერ გამოგონილი?

საკუთარი არჩევანი დაასაბუთე.

3. რაა საერთო გიორგი ლეონიძის ამ ლექსებს შორის? ორივეში ჩანს:

- ა) ადამიანისა და ბუნების დაფარული, უხილავი კავშირი;
- ბ) ბუნების სასარგებლო, სასიკეთო ძალა.

აირჩიე პასუხი და განმარტე, რატომ ფიქრობ ასე.

4. ნათქვამია, რომ პოეტებს სჩვევიათ მკითხველის გაოცება მოულოდნელი სტრიქონებით; როგორ დაადასტურებდი ამ მოსაზრებას გიორგი ლეონიძის „ნისლების“ მაგალითზე?

წაიკითხე გამოთქმით

5. წაიკითხე ლექსი ისე, რომ სწორად გადმოსცე პოეტის განწყობა.

გაიხსენე

- 6.** გაიხსენე და აღწერე ბუნების სურათი, რომელმაც შენი აღტაცება გამოიწვია.
- 7.** გამოიცანი სიტყვა, რომელზეც მიგანიშნე: ... ჩამონვა, დაეფინა, გაიფანტა.



სპილოს
მოშინაურება

როცა პოეტი თუ მწერალი ნაწარმოებს ქმნის, ცდილობს, თავისი სათქმელი შთამბეჭდავად გადმოსცეს და ამსათვის სხვადასხვა მხატვრული ხერხი გამოიყენოს. წაიკითხე უკვე შესწავლილი ლექსის სტრიქონები:

„დალიეთ, შეიშხეფეთ
შემრგო, ტკბილი, ანკარა;
თვისი **წმინდა** გულიდან
ხალხმა აანანკარა!“

- რომელი სიტყვებით აღწერა ნაკადული პოეტმა?
- რა კითხვა დაესმის ამ სიტყვებს?

შემრგო, ტკბილი, ანკარა, ასევე – **პირნათელა, მზეთვალა, ბროლტანა ეპითეტებია**. ეპითეტი ერთ-ერთი მხატვრული ხერხია. მას ავტორები ხშირად იყენებენ, რათა დაახასიათონ ესა თუ ის პერსონაჟი ან აღწერონ ესა თუ ის საგანი და უფრო ხატოვნად გადმოსცენ სათქმელი.

- დღევანდელი ამინდის აღსაწერად მოიფიქრე ეპითეტი.

ახლა ამას დააკვირდი: „ნაკადული მორბოდა, **ვით ირემი ქორბუდა**“...

პოეტმა ნაკადულის სისწრაფე ირმის სირბილს შეადარა. შენ უკვე იცი, რომ ამ მხატვრულ ხერხს **შედარება** ჰქვია. წაიკითხე შედარების კიდევ ერთი ნიმუში:

„შეიძლება იფიქროთ: სპილო უთუოდ ძალიან უგუნური პირუტყვი უნდა იყოს, თორემ იმოდენა **დევივით ცხოველს** ერთი ბენვა კაცი როგორ დაიჭერდა და დაატყვევებდაო“ (იაკობ გოგებაშვილი).

- რას შეადარა მწერალმა სპილო?
- რა უნდოდა, ამით ეთქვა?
 - ა) ის, რომ სპილო ბოროტი ცხოველია;
 - ბ) ის, რომ სპილო უზარმაზარი ცხოველია.

აირჩიე სწორი პასუხი და საკუთარი არჩევანი მსჯელობით დაასაბუთე.

1. გადაინერე ნაწყვეტი, ხაზი გაუსვი ეპითეტებს და ამოინერე შედარებები:

„ლურჯ მთებზე ღრუბლები იბადებიან, პატარა ცელქი ბიჭუნებივით კოტრიალობენ ფერდობებზე, იზრდებიან და მერე ჩვენკენ მოდიან რუხრუხითა და მუქარით... დილდილაობით, მზე რომ ამოსვლას დააპირებს, ამ სიბნელიდან ნისლივით მსუბუქი მოხუცი გამოდის...“

2. დანერე პატარა თხზულება ჭიანჭველებზე. გამოიყენე სამი ეპითეტი და ერთი შედარება. თხზულებას შეურჩიე ეპითეტისანი სათაური.
3. შენ მიერ მოფიქრებული შედარება გარეგნულად აღწერს ჭიანჭველებს თუ მათ რომელიმე თვისებაზე მიუთითებს?

ნამდვილი ამბავი

(მწერლის დღიურიდან)

ჩემი სახლის აივანზე, დიდი ხანია, მერცხლები ბუდობენ და რადგანაც ხელშემშლელი არავინა ჰყავთ, მრავლდებიან. გაზაფხულის პირად რომ ჩვენშივე ცხელი ქვეყნებიდან დაბრუნდებიან, ძველები ისევ შეჩვეულ ბუდეს მიაკითხავენ და ახალ ბუდეს მხოლოდ შარშანდელი ბარტყები იკეთებენ. ასე მიდის იმათი საქმე წლიდან-წლამდე ხელშეუშლელად. მხოლოდ წელს კი, 1910 წელს, უჩვეულო რამ მოხდა: ერთი ჭივჭავი* ჩაეპარა მერცხალს ბუდეში, მოიკალათა და შიგ პატრონს აღარ უშვებდა... იკორტნებოდა.

მეორე დღეს მოფრინდა მერცხლის გუნდი. ყველას ტალახი მოჰქონდა პირით, დაუნყეს ბუდეს გალესვა; ასე რომ, ჭივჭავი თუ არ გამოფრინდებოდა, შიგ ბუდეში გამოიხრჩობოდა... რომ დაინახა ჭივჭავმა, აქ ხუმრობა აღარ არისო, როგორც იქნა, გაასწრო. იმ სალამოსვე გაჩნდა ჭივჭავის გუნდი და დაერია მერცხლებს. შეიქნა ერთი წივილ-ჭყვილი. ჰაერში მერცხლები სჯობნიდნენ, რადგანაც კლანჭს გაჰკრავდნენ ხოლმე, მაგრამ ბუდეში კი, რალაი შეასწრებდნენ და კორტნაზე მიდგებოდა საქმე, ჭივჭავები იმარჯვებდნენ. ზოგან ბუდეებიც კი დაანგრის. გამარჯვება ჭივჭავების გუნდს რჩებოდა, მაგრამ მე ჩავერიე გამშველებლად; ჭივჭავები აღარ შემოვუშვი აივანზე. დავინახავდი თუ არა შემოფრენილს, გავდევიდი ხოლმე. სამი დღის განმავლობაში ყველაფერი მიწყნარდა და ჩადგა თავისსავე წესწყობილებაში*. მეც დიდხანს აღარ დავრჩენილვარ შინ, ქალაქში გავემგზავრე.

ქალაქიდან რომ დავბრუნდი, მერცხლის ბუდეები გამრავლებული დამიხვდა: სადაც ერთი ბუდე იყო, იქ მეორეც ზედ მიეტყუებინათ, ერთ ცალში რომ მერცხალი ბუდობდა, მეორე ცალში ჭივჭავი დაბუდებულიყო. ვინ გაარიგა? ან როგორ მორიგდნენ ეს სხვადასხვა გვარის ფრინველები? და ან მერცხლები რად დაემორჩილნენ და გაუკეთეს ჭივჭავებს ბუდე?!

აკაკი წერეთელი

უპასუხე კითხვას

1. ტექსტის პირველი აბზაცის მიხედვით, რა იყო ფრინველთათვის ჩვეული ქცევა? უჩვეულო ქცევა?

იმსჯელე

2. შესაძლებელია თუ არა, განვსაზღვროთ აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დრო ამ ნაწარმოების დახმარებით?
3. რა უპირატესობა ჰქონდათ მერცხლებს და როდის სჯობნიდნენ მათ ჭივჭავები?
4. შეაფასე, როგორია თვითონ ავტორის დამოკიდებულება ამ „სხვადასხვა გვარის ფრინველების“ მიმართ?
5. გაიხსენეთ ბოლო აბზაცში დასმული შეკითხვები და გამოთქვით ვარაუდები.

დანერე

6. დანერე ამ ნაწარმოების მოკლე შინაარსი მესამე პირსა და წარსულ დროში; დაიწყე ასე: მწერალი იგონებს, რომ მისი სახლის აივანზე...

თოვლი

თეთრი დათვივით მოვიდა თოვლი,
და მხარზე უხმოდ დაგვადო თათი.
თეთრი ფიფქები ცვიოდნენ თრთოლვით,
ჩვენ არ გვესმოდა ჩურჩული მათი.

ჩვენ შინ დავბრუნდით შორ გზაზე მოვლით,
ჩვენ თვითონ თოვლის ფანტელებს ვგავდით.
თეთრი დათვივით გამოგვეყვა თოვლი
და აივანზეც შემოჰყო თათი.

ვახუშტი კოტეტიშვილი

იმსჯელე

1. გრამატიკული წესის მიხედვით, სწორია ითქვას: ფიფქები ცვივა; პოეტი არ იცავს ამ წესს და წერს:

„თეთრი ფიფქები
ცვიოდნენ თრთოლვით“...

განმარტე, რატომ დაარღვია მან გრამატიკული ნორმა?

2. ახსენი, რას გულისხმობს შედარება, როგორც მხატვრული ხერხი?
3. რას ნიშნავს გაპიროვნება, იგივე, გასულიერების ხერხი?

იპოვე

4. იპოვე ლექსში შედარების ორი ნიმუში და ამოიწერე შესაბამისი ორი სტრიქონი.
5. იპოვე გაპიროვნების მაგალითები და ამოიწერე შესაბამისი ადგილები.

წარმოსახვით თამაში

6. პოეტის წარმოსახვაში დიდთოვლიანი ზამთარი თეთრი დათვია. ითამაშე წარმოსახვით!

ა) რომელ ცხოველს თუ ფრინველს დაუკავშირებდი გაზაფხულს?

ბ) ცხელი ზაფხული რას მოგაგონებს?

გ) რვეულში ჩაინერე წელიწადის დროები და ხაზით დაუკავშირე ქვემოთ ჩამოთვლილი შესაფერისი სურათები:

ა) ფიჭა და ფუტკარი;

ბ) დედა ჩიტი ბუდესთან;

გ) ბუ ფულუროში;

დ) წეროების გადაფრენა;

ე) დათვი ბუნაგში;

ვ) მერცხალი აივანზე;

ზ) პეპელა და მინდორი;

თ) ჩიტები ხეხილზე.

ნიმუში:

- გაზაფხული
 - ზაფხული
 - შემოდგომა
 - ზამთარი
- დედა ჩიტი ბუდესთან

თავი

2

მე-



ბავშვი მოთხრობები

ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ...

ანტუან დე სენტ ეგზიუპერი

აქ შეისწავლი...

● ტომ სოიერის თავგადასავალი (ნაწყვეტები) *მარკ ტვენი*

● ბიჭი და ძალი არჩილ *სულაკაური*
თეორია. ბიოგრაფია და ავტობიოგრაფია

თემის შესავალი

ილუსტრაციაზე გამოსახულია ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟი. შეეცადე, მოთხრობის წაუკითხავად, მხოლოდ ნახატის მიხედვით დაახასიათო ის. დაასრულე წინადადებები:

- ის არის ძალიან...
- მას აქვს...
- ჩაცმულობის მიხედვით, ეს პერსონაჟი უნდა იყოს...
- ვფიქრობ...

ტომ სოიერის თავგადასავალი

(ნაწყვეტები)

ნაწილი პირველი

– ტომ!

პასუხი არ არის.

– ტომ!

პასუხი არ არის.

– რა დაემართა იმ ბიჭს! ტომ!

მოხუცმა ცხვირზე ჩამოინია სათვალე და სათვალის ზემოდან მოათვალიერა მთელი ოთახი, მერე შუბლზე აინია და ახლა სათვალის ქვემოდან მიიხედ-მოიხედა... ეს სათვალე მისი სიამაყე იყო და უფრო სილამაზისათვის იკეთებდა; იქიდან დანახვა სწორედ ისევე შეიძლებოდა, როგორც, მაგალითად, თიხის ქოთნის სარქველიდან*.

ერთ წამს მოხუცი დაიბნა, შემდეგ კი, არც თუ ისე გაჯავრებით, თქვა:

– ჩამივარდები ერთი ხელში და...

სიტყვა არ დაუსრულებია, დაიხარა და სანოლქვემ გულმოდგინედ დაუწყო ძებნა ცოცხით რალაცას, მაგრამ იქიდან კატის მეტი ვერაფერი გამოათრია.

– საძაგელი ბიჭი! ჩემს დღეში მისი მსგავსი არა მინახავს რა!

ქალი მივიდა გაღებულ კართან, შეჩერდა და ბაღში დაუწყო თვალიერება პამიდვრის კვლებსა და ბალახებს. ტომი არსად ჩანდა. მაშინ კი ხმა აიმაღლა და შესძახა:

– ტომ!

ზურგს უკან რალაცამ გაიფაჩუნა. მიიხედა და პატარა ბიჭს მკლავში სწვდა, როცა ის გაპარვას აპირებდა.

– ერთი ამას დამიხედეთ, სულ დამავინყდა, საკუჭნაოში შემეხედა! რას აკეთებდი იქ?

– არაფერს.

– არაფერს? დაიხედე ხელებზე, შეხედე შენს ტუჩებს! ასე რით მოითხუპნე?

– არ ვიცი, დეიდა!

– მაშ, მე ვიცი! მურაბით! აი, რით! ათასჯერ მითქვამს, თუ ხელი გიხლია, გაგწკეპლავ-მეთქი. მომანოდე წკეპლა!

წკეპლამ ჰაერში გაიშხულია. განსაცდელი გარდაუვალი იყო.

– ოჰ, დეიდა, მიიხედეთ, თქვენ უკან რა არის?

მოხუცი მიტრიალდა, თან შიშით კაბის კალთა აინია, ბიჭმა კი მოკურცხლა, თვალის დახამხამებაში ხის მალალ მესერს გადაეველო და თავს უშველა.

დეიდა პოლი ჯერ გონს ვერ მოვიდა გაკვირვებისაგან, მერე კი ჩუმად ჩაეცინა:

– აი, შე საძაგელო! ნუთუ აქამდე ველარ შევეჩვიე?





განა ცოტა ოინი უქნია! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ბებერ ძაღლს ახალს ვედარაფერს შეასწავლიო“, მაგრამ მაგას ოინებს რა გამოუღევს; ორჯერ ერთსა და იმავეს არასდროს გაიმეორებს. განა მიუხვდეები, რას აპირებს?! გეგონებათ, იცის, რამდენ ხანს უნდა მანვალოს, რომ მოთმინებიდან არ გამოვიდე. საკმარისია, ერთი წამით სხვა რამეზე გადაიტანოს ჩემი ყურადღება

ან გამაცინოს, რომ მთელმა რისხვამ გამიაროს და თითიც ველარ დავაკარო.

...ღმერთმანი, პირნათლად ვერ ვიხდი ჩემს მოვალეობას. საღვთო სჯულში ხომ წერია: ვინც წკეპლას არ ხმარობს, ყმანვილს რყვნისო*. მე კი, ცოდვილი, როგორ ვანებიერებ. ამისათვის ორივეს პასუხი მოგვეთხოვება. ვიცი, ვიცი, რომ თავი სისულელითა აქვს გამოტენილი, მაგრამ რა ვქნა? ის ხომ ჩემი ცხონებული დის შვილია, საცოდავის. თან მეც ძალა არა მყოფნის, ერთი კარგად გავშოლტო. ყოველთვის, როგორც კი სასჯელისაგან გასლტომის საშუალებას მივცემ, სინდისი მქენჯნის, დავსჯი და მოხუცებული გული მიკვდება იმისი ცოდვით.

დღეს სკოლაში არ წასულა; საღამოზე ყალთაბანდობა* მოუნდება, მე კი მოვალე ვარ, დავსაჯო. შევასრულებ კიდეც ჩემს მოვალეობას, ხვალ მთელ დღეს ვამუშავებ. სისასტიკეა შაბათ დღეს მუშაობა, როცა ყველა ბიჭისათვის უქმეა, მაგრამ რას ვიზამთ?! მუშაობა ჭირივით ეჯავრება. ამჯერად მაინც ვერ ვაპატიებ, თორემ მთლიანად დავლუპავ ბიჭს.

ტომს იმ დღეს სკოლაში არც კი შეუხედავს და დრო ჩინებულად გაატარა. ძლივს მოასწრო შინ დაბრუნება ვახშობამდე, რათა მიხმარებოდა ჯიმს, ზანგ ბიჭუნას, შეშის დახერხვასა და დაპობაში. ყოველ შემთხვევაში, ის კი მოასწრო, ეამბნა თავისი თავგადასავალი, სანამ ჯიმი სამუშაოს სამ მეოთხედს შეასრულებდა.

უპასუხე შეკითხვებს

1. „ტომ სოიერის თავგადასავალი“ უჩვეულოდ იწყება:

- ტომ! - პასუხი არ არის.
- ტომ! - პასუხი არ არის...

ამ დასაწყისის რომელ შეფასებას დაეთანხმები? ამგვარი დასაწყისი:

- ა) მიგვანიშნებს, რომ მოთხრობა სასაცილო, გასართობი იქნება;
- ბ) მაშინვე იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ინტერესს აღძრავს;
- გ) მოსაწყენს ხდის თხრობას, რადგან ძახილს პასუხი არ მოსდევს.

2. ტომი მატყუარაა; ის პირველსავე ეპიზოდში, გამოჩენისთანავე ცრუობს:

- ასე რით მოითხუპნე?
- არ ვიცი, დეიდა... ოჰ, დეიდა, მიიხედეთ, თქვენს უკან რა არის!“

მისი ხასიათის კიდეც რომელი თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?